

# მომსახურების ხელშეკრულება

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია კლინიკის მიერ მომხმარებლისათვის სხვადასხვა სახის სამედიცინო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. მომსახურების სახეები, ვადები და ღირებულება ასახულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართებში. (დანართი 1; დანართი 2 და დანართი 3.)

## 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1 მომხმარებლის უფლებები და ვალდებულებები:

3.1.1 მომხმარებელი ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები

3.1.2 მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური შეთანხმებული ოდენობით და შესაბამის ვადაში;

3.1.3 მომხმარებელი ვალდებულია, რომ ინფორმაცია სრულად მიაწოდოს კლინიკას, როგორც ამჟამინდელი, ასევე გასული პერიოდის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

3.1.4 მომხმარებელი იღებს ვალდებულებას ჯანმრთელობის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე

3.1.5 მომხმარებელი ვალდებულია სატელეფონო და ვიდეო ზარი განახორციელოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

3.1.6 სპეციალური ფასდაკლების მისაღებად მომხმარებელი ვალდებულია კლინიკას წარუდგინოს მის მიერ მოთხოვნილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

3.1.7 მომხმარებელი აცხადებს თანხმობას და აძლევს უფლებას კლინიკას დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.



3.1.8 მომხმარებელს უფლება აქვს დღე-ღამის ნებისმიერ დროს (24 საათის განმავლობაში) მიიღოს კლინიკისგან სამომხმარებლო პაკეტით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურება.

3.1.9 მომხმარებელს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში კლინიკას მოსთხოვოს ექიმ-კონსულტანტის სამედიცინო საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

3.1.10. მომხმარებელი აცხადებს თანხმობას და კლინიკას აძლევს უფლებას ჩაწერილ და შენახულ იქნას კონსულტაციის ამსახველი აუდიო-ვიდეო მასალა ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.

3.1.11 მომხმარებელი აცხადებს თანხმობას, რომ კლინიკამ საჭიროების შემთხვევაში მესამე პირებისაგან მიიღოს სამედიცინო ხასიათის ინფორმაცია, მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

3.2 კლინიკის უფლებები და ვალდებულებები:

3.2.1 კლინიკა ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს მომხმარებელს.

3.2.2 კლინიკა ვალდებულია დღე-ღამის ნებისმიერ დროს (24 საათის განმავლობაში) უპასუხოს მომხმარებლის სატელეფონო ზარებს და გაუწიოს მათ სამედიცინო კონსულტაცია.

3.2.3 კლინიკა ვალდებულია მომხმარებელს გაუწიოს პაკეტით დადგენილი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით.

3.2.4 კლინიკა ვალდებულია მომხმარებელს დროულად მიაწოდოს პროგნოზული კლინიკების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია.

3.2.5 კლინიკა ვალდებულია უზრუნველყოს კვალიფიციური მომსახურების განწევა მომხმარებლისათვის.

3.2.6 კლინიკა ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.2.7 კლინიკა უფლებამოსილია შეისწავლოს მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფების სოციალური მდგომარეობა და ინდივიდუალურად გაუწიოს მომსახურება სპეციალური ფასდაკლებით.



3.2.8 სპეციალური ფასდაკლებით მომსახურების მიღება შეეძლება მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ კლინიკის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

3.2.9 კლინიკა უფლებამოსილია მოითხოვოს მისთვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა იმ მომხმარებლებისაგან რომლებიც სარგებლობენ სპეციალური ფასდაკლებით.

#### 4. ხელშეკრულებო ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამონურვამდე.

4.2 სამედიცინო-საკონსულტაციო მომსახურების დეტალური ვადები ასახულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართებში.

#### 5. მომსახურების საფასური

5.1 მომსახურების საფასური განისაზღვრება სამედიცინო პაკეტების მიხედვით და ასახულია ხელშეკრულების დანართებში.

5.2 მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს უნაღლო ანგარიშსწორების წესით, კლინიკის საბანკო ანგარიშზე.

#### 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

6.1 თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის კანონით დადგენილი წესით.

6.2 თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, იმ შემთხვევაში თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (ფორს-მაჟორული გარემოებები), ან მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო.

6.3 დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოებების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებებს, კერძოდ:

ხანძარი და აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება;



□ სამხედრო მოქმედება, ომი, აჯანყება, სამოქალაქო ომი.

6.4 თითოეული მხარე ვალდებულია დაუყონებლივ წერილობით შეატყობინოს და განუმარტოს მეორე მხარეს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

6.5 კლინიკა პასუხს არ აგებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფერხებაზე იმ შემთხვევაში თუ იგი გამონწვეულია მისგან დამოუკიდებელი ტექნიკური ხარვეზების გამო.

6.6 ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეებს შორის დავა წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით ან ცალმხრივად შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს.

7.2 მომხმარებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

1-კლინიკა არ უწევს შეთანხმებულ მომსახურებას;

2-კლინიკამ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

7.3 კლინიკას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ:

7.4 თუ მომხმარებელი არ გადაუხდის კლინიკას შეთანხმებულ ანაზღაურებას, ან გადააცილებს გადახდის ვადას სამი კალენდარული დღით, კლინიკას უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.5 კლინიკას უფლება აქვს მომხმარებელთან ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ მომხმარებელი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

## 8. დამატებითი პირობები

(1) წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

(2) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით გარიგების დადებით.

